

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть, ред. „ДРОЗДА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით— 8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



ბამოლის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი-გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილობის-დღის წესილობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს კასპეტად გამოკვეთილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ центръ конторѣ объявл. Л. Метилъ., Москва, Петровка, № 6.

**დროების რედაქცია საუკეთესოდ აცხადებს, რომ შვეიცარიის სააგენტოში აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ განხილვად და არც განცხადებები მასში დასაბუქდად. ხელის-მოწერით, ან განცხადების მოცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს ჰინდანი რედაქციის კანტონის მოძრით, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).**

გრძობენ, რომ ვაზეთი ეხლა ფრიად დიდი დამაკავშირებელი ძალაა, იგი საზოგადო უსტარია ყველასაგან ყველასადმი მიწერილი და ყველასათვის ყველა ამბის შემატყობინებელი. ნურას ვიტყვით თუნდ ვაზეთში დაბეჭდილ იმ წერილებზედ, რომელთა დანიშნულებაა მკითხველის ჰორიზონტი გაფართოვოს და ასეთი თუ ისეთი მსჯელობა შეუდგინოს რომელსამე საზოგადო მოვლენაზედ. ეს შეადგენს ლიტერატურულს ნაწილს ვაზეთისა და მისი განვითარება, წინაწევა მრავალ სხვა-და-სხვა სრულიად გარეშე გარემოებაზედ არის დამოკიდებული. თუ ეს გარემოებანი ხელს უწყობენ თავისუფალ მსჯელობას და ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენათა აწონ-დაწონას, მით უფრო ვაზეთი დიდ მნიშვნელობას იძენს, მით უფრო ფრთხილად იშლის და მით უფრო მეტი ძალა ეძლევა. მაგრამ ლიტერატურული ნაწილი რომ თავისთვის იყოს, გაიხსნეთ თუნდა ის ნაწილი ვაზეთისა, რომელია ლიტერატურა არაფერს შუაშია. ამ ნაწილმა უნდა აცნობოს ქვეყანასა და მთავრობასა, სად ვაზეთი რომელიმე ავადმყოფობა, საქონლის კირი, ავაზაკების ბრბო; სად ბოროტ-მოქმედობენ და ხალხს ატყუებენ და სად კეთილად განაგებენ სამწყსოს; რომელი სახელმწიფომ გამოაცხადა ომი, ან რომელი აპირებს გამოცხადებას; სად უფრო კაი მოსავალი მოვიდა

და სად ნაკლები,—ერთის სიტყვით ენაც დაილაღება და კალამიც რომ ყოველ იმის ჩამოთვლას მოეკვეთ, რაც შეადგენს ვაზეთის სფერას და რასაც უნდა აცნობებდეს იგი თავის მკითხველთ. მსეთია მნიშვნელობა ვაზეთისა და ამით აიხსნება, რომ არც ერთი მხარე არ არის, რომელსაც რამდენიმე საკუთარი ვაზეთი არა ჰქონდეს. თვით სანდვიის კუნძულებზედაც, რომელიც დიდ ოკეანეში ცხრა ჯერ ცხრა ზღვის იქით გადაკარგულან—რვა ვაზეთია თურმე, ხუთი ინგლისურს ენაზე და სამი ადგილობრივზედ... რომ ჩვენს ქვეყანასაც აქვს ეს მონათხილვა, ამაში ექვს ვერაინ შემოიტანს. თუმცა დიდი უფულობაა ჩვენში, დიდი უფოსტობაც, ასე რომ სოფელში მცხოვრებს ხშირად ათნომერში ერთიც არ მისდის, მაგრამ მაინც დღითი დღე მკითხველების რიცხვს ემატება და ვაზეთსაც მეტი მნიშვნელობა ეძლევა. უფულობას ის წამალი გამოუჩანს, რომ ერთს ნომერს ათი და თორმეტი მკითხველი ჰყავს და ზოგიერთა შეძლებული სოფელში მცხოვრები ხელის-მოწერი ერთი-ორად მეტსა ჰხარჯავს ვაზეთის ფასზედ, ოღონდ თავის ვაზეთი ფოსტის კანტორიდან თავ-თავის დროზე მიუვიდეს. რომ უფულობაც დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის ვაზეთის

### სანდვიის კუნძულებს მაინც მიუბაძეთ

თბილისი, აგვისტოს 8-ს.

ჩვეულება რა უფრო უმტკიცესია, ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ძველებური და კვიანური ანდაზა. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ერთხელ მიღებული ჩვეულების დატოვება მეტის-მეტად საძნელოა და მთელს ორგანიზმს უგემურადა ჰხდის, თითქო უკმაყოფილება საზადავს, ამღვლეარებს. პილეთ, მაგალითად ისეთი უმნიშვნელო და ყოველად გამოუსადეგარი ჩვეულება, როგორც პაპიროზის წევა. პრაქტიკული სარგებლობა მას არ მოაქვს, ზარალის მეტი, მაგრამ ერთი კაცისათვისაც კი ძნელია ამ ჩვეულების დატოვება, არამც თუ მთელი ხალხისათვის. მართს მშვენიერ დღეს რომ რაიმე უცნაური კანონი გამოიცეს და ეს ჩვეულება ხალხს აღეკრძალოს, ძნელი წარმოსადგენია ამისთანა განკარგულებას რა შედეგა მოჰყვება.

თუ ეს ითქმის ამისთანა უმნიშვნელო ჩვეულებაზედ, იგივე, თუ არ მეტი, ითქმის ყოველ სასარგებლო, კულტურით გამოწვეულს ჩვეულებაზედაც. პეილოთ, მაგალითად, თუნდ ის ჩვეულება, რომლის ნაყოფიც დღეს თქვენ წინ მდებარე ქალაქის ფურცელია. შოველ დღე სტამბის მაშინა რამდენიმე ასჯერ უნდა გადატრიალდეს, რამდენიმე ასი ან ათასი ერთგვარი და ერთის შინაარსის ქალაქის ფურცელი დაბეჭდოს, რომელიც ერთმანეთს ფოტოგრაფიის სურათებსავეთა ჰგვანან, და მეორე დღით ეს ქალაქის ფურცლები მთელს ქვეყანაზედ მოიფინონ და თავის ოჯახში დამშვიდებულად მჯდომ მკითხველს აცნობონ ყოველივე ის, რაც დედამიწის ზურგზედა ჰხდება. პრის ბევრი იმისთანა მკითხველი, რომელიც უვაზეთოდ ისე ვერ გასძლებს, როგორც პაპიროზის მოუწვევლად და თუ ეს მკითხველები თავიანთ თავს ანგარიშს ვერ მისცემენ და ამ ფრიად სასარგებლო ჩვეულების საფუძველს ვერ ახსნიან, ინსტინქტიურად მაინც


### ხმა მიიღამ (პრაგინცალურა ფელტონა)

სწორედ მოგახსენოთ, მე სრულიად ვერ მოვიუქრებდი თუ აქ, ამ ჩვენს გაუნათლებელს მხარეში ბეჭედითი სიტყვას ისეთი დიდი გავლენა ექნებოდა, როგორც იქონია პირველმა კორესპონდენციამ (პორესპონდენცია თიანეთიდან, «დროება» № 87). რა უმანკო და უბილო კორესპონდენცია იყო და რამოდენი ყაყანი და მითქმა-მოთქმა-ი გამოიწვია! მთელი ერთი თვე სულ ამ კორესპონდენციაზე ლაპარაკობდნენ, სულ მასზედ სჯიდნენ,—ჰკიცხავდნენ, აქებდნენ, სწყევლიდნენ, ლოცავდნენ... მწვანე მათედიანი სტოლის რაინდებს მეტადრე ის უფრო ეწყინათ—«რუსულად რისათვის გადაბეჭდეს», ეს რაღა უბედურებაა, რომ «ნოვოე მობოზრენიემ» გაუგონა «დროებასა»; ამ ეპეტატონებს რუსულის აძლიერ ეშინიანთ, ქართულისა-კი მაგრე რივად არა. მსეც სხვა საქმეს მოასწავებს. მაბრაზება იქამდინ მივიდა, რომ ერთმა მოხე-

ლემ თამამად გამოაცხადა—ეგ ვილა-ცა მგელა ხინკალ-ჰამია შეილია, გაჩერდესო, თორემ თვით «დროების» რედაქციაში გაებერტყამო... ბესმით?... რედაქციაში გაებერტყამო!? საწყალობელი!... მაგრამ, როცა კაცს საუანელი შემოეღვეა და საბუთი აღარა მოეპოვებარა, მაშინ მუშტზე დაიწყებს ცქერას. მე-კი, თქვენს უმორჩილესს მგელა ხინკალ ჰამია შეილს, სულ ღიმილი მომიღოდა და გულში ვიცილობდი. მართალი რომ გითხრათ, გასახარელიც კი მქონდა რატომაც არა? მსუმრები, მკითხველო, ერთმა პაწაწინა კორესპონდენციამ ასეთი მოძრობა გამოიწვია, ასე გამოაფხიზლა ეს ჩვენი ბნელეთი... შემდეგნი რაღას იზამენ? მეტადრე მანდილოსნები უფრო ძლიერ განრისხდნენ, სულ ქოქოლას აყრიდნენ საწყალ მგელას. უზღელიაო, «ნევექდა» არისო, იმეორებდნენ ჩვენი «შლაოსნები». ვითომ რაო, რომ მთელი ღამე ქალაქს ვთამაშობთო, მაშ რა უნდა გავაკეთოთო... მებეკი დასკდა მაგასა ვილაც მგელა არისო.. (ხომ მოგეხსენებათ, ჩვენმა მანდილოსნებმა ყველაფერი ქართული განუტყვეს და

მარტო ქართული ქოქოლა და წყევლა-ლა დაიცვეს) კრებაც გამართეს სამკითხველოში—პასუხი მიეცეთო, მაგრამ პასუხი ვეღარ მოახერხეს და რუსული თქმისა არ იყო, მწარე აბი არა თუ გადაყლაპეს, მოინდეს კიდევ მაგრამ ამით ყურს ვინ უგდებს. ჯერ-ჯერობით ჩემის კორესპონდენციის ის ნაყოფიც საკმაოა, რომ ეხლა აქაური რაინდები და შლიაპოსნები გაუცაცობით თვალ-ყურს ადევნებენ «დროებას»—მგელამ კიდევ ხომ არა დაგვიწერა-რაო. ამ უარარობაში ესეც დიდი ღვთის წყალობაა...  
\*\*\*  
ჩვენი დაბა ზაფხულობით ყოველწლივ გაცოცხლდება ხოლმე. წრეულ-ლაც ასე იყო. აქაური მშვენიერი ბუნება ნება-უნებურად იზიდავს სხვა-და-სხვა კუთხიდან მოხელე პირებს. მისაც-კი ცოტადენი საქმე აქვს, ყველა სცილობს რომ ზაფხულში მოვიდეს აქ; მეტადრე ოლქის სასამართლოს მწვერთა «დაჩად» გადაიქცევა ხოლმე ჩვენი თიანეთი. წრეულ ზედიზედ აქ სამი განყოფილება იყო, მთელი დაბა ისე ლელავდა თითქო ზღვა არისო. უცხოეთელს თვალები

აუჭრელდებოდა ეს პანორამა რომ ენახა. მინ გინდა, აქ არ გენახა; რომელი ჯურის მთიელი გსურდა, აქ არ შეგხვედროდა,— ფშაველი, თუმი, ხევსური, ქისტე, ლეკი, მოხვეე, გულამაყრელი... ჰველამ აქ მოიყარა თავი. სასიამოვნო სანახაია, როცა ჰხედავ ამ ათასნაირად აჭრელებულს მიღეთის ხალხს, რომელიც ასე იზიდავს თქვენს ყურადღებას თავისებურობით! თუ გნებავთ შეიტყოთ, რომ ძველსა ნამდვილი ბუდეა სხვა და სხვა პატარა ხალხისა, ზაფხულობით აქ მობძანდით და მაშინ დარწმუნდებით. საკვირველი კიდევ ეს არის, რომ ყველა ჯურის მთიელს თავისი საკუთარი ხალხოსნური ბეჭედი აზის, ყველას თავისი განსხვავებული ფერი სდევს, ბიკირთ-თუ რისგან და როგორ მოხდა, რომ პატარა ადგილს მეზობლად დასახლებულმა ათასნაირად აჭრელებულმა ხალხმა აქამომდე მტკიცედ დაიცვა თავისი საკუთარი ცხოვრება, ზნე ჩვეულება და სხვა—ფშაველი ფშაველად დარჩა, ხევსური-ხევსურად, თუმი-თუმად, ქისტე-ქისტად... მსეც-კია, რომ ქართველის ტომის ხალხს გავლენა ჰქონია



გავრცელებისათვის, ამას ამტკიცებს თუნდ ის, რომ გავითმა «შრომა» ერთ წელიწადში ხუთას-ექვსასი მკითხველი შეიძინა და აღვიღადაც შეეძლო თავის ღირსი განგრო. მაშასადამე, თუ აქამდის ჩვენი ლიტერატურა წარმოადგენს იმისთანა ახირებულს ლიტერატურას, სადაც პედაგოგიური ორგანიც არის, სასულიეროც, სათეატროც, მალე ილიუსტრაციული ჟურნალიც იქნება და საპოლიტიკო და სალიტერატურო გავითი კი მხოლოდ ერთად, ეს უცნაური მოვლენა ჩვენი მოწინავე რაზმის დაუდევრობას უნდა დაბრალებდეს, ვიდრე ხალხის გულგრილობას, რომელიც საკმაოდ ცნობის მოვარეც არის და საკმაოდ ერთგულიც, რომ თავის ლიტერატურას ერთგულად უკან მიჰყვებს.

### შინაური ქრონიკა

== სწორედ ცის რისხვა ეწია ჩვენს რკინის გზას სამტრედიასა და ბათუმს შუა. თავსება წვიმებმა რამდენსამე ალაგას სრულიად წალეკეს ლიანდაგი და შეაჩერეს აგვისტოს პირველს აქეთ მისვლა-მოსვლა სტანციები და ყარაულის ბუდეები წყალში დგანან. მრავალი მგზავრები სტანციებზე სხედან თურმე, ცას შესტკერიან, რადგან ვერც წინ ახერხებენ წასვლას, ვერც უკან. მრი ათასამდე მუშა მუშაობს ამ გზაზე, მაგრამ რასაც დღე აკეთებენ, ღამე ნიაღვარი ისევ ახდენს, პენელობას ნაქსოვსავით. ამბობენ ერთი კვირა მოუნდებიან ნიაღვრებისაგან წამხდარი გზის შესწორებასაო, და ისიც მაშინ, თუ ახალმა ნიაღვრებმა ხელი არ შეუშალესო. შოსტა ეხლა შოთხედ დადის.

P. S. ბუშინ გამოცხადდა რკინის გზის გამგებამ, რომ ბათუმისა და სამტ-

რედიის შუა წვიმებისაგან წამხდარი გზა გაკეთდა და მატარებლები თავის წესზედ დაიარებიანო.

== მართლში კიდევ შემოუღიათ საზიზლარი ჩვეულება—ერთი-ერთმანეთის ქონების დაწვა. ამ ღღებში სხინვალში დაუწვავთ ერთის მკანოვის ვენახი და სამასი თუმნის ზარალი მიუტიათ. ცეცხლის მსხვერპლი გამხდარან ღობე, ვაზები და მშვენიერი ხეხილები. მანგებ ცეცხლის წაკიდება აშკარად ეტყობოდა, თურმე, რადგან ცეცხლი ერთსა და იმავე დროს რამდენსამე ალაგას გაჩენილა.

== თელავიდან გვწერენ, რომ იქაურ ფოსტის კანტორაში ძალიან ხშირად იკარგება უბრალო წერილები, როგორც იქ მისული, ისე იქიდან გამოგზავნილები: თუ «ზაჯანოთ» არ გაგზავნა კაცმა წერილი, მისი მიღება ლმერთზე და ფოსტის ჩინოვნიკების ქეიფზე ჰკიდიაო.

== ბათუმს ერთი რუსული გავითი დიდ ქებას უძღვნი, როგორც სამკურნალო ალაგას. იგი აქებს მისის ჰაერის სისეველს, ზომიერ ჰავას, მისს უხვ მცენარეობას. სამწუხაროდ, უმატებს გავითი, ამ ქალაქის ახლო ბრინჯის ნათესებო ჰქონიათ უწინ, მთის წყლები ამისათვის ერთ ალაგას დაუგუბებიათ და ამიტომ ციებას დაუბუნიაო აქ, მაგრამ ეხლა მიიღეს საშუალება ამ ალაგების გასაშრობად და იმედი უნდა ექონიოთ, რომ მალე ბათუმში საუკეთესო სამკურნალო ალაგი იქმნება კლექიანებისა და გულით აკადემოფებისათვისაო.

== ბაზ. «ძაბის» გაუგონია, რომ ჩვენი რკინის გზის გამგეობა აპრობს თურმე ხეების დარგვას გზის ლიანდაგის ნაპირებზედ იმ ადგილებში, სა-

თხოულობს. ან რას იზამს, როცა ზოგიერთა ბოროტ-მოქმედება, მაგ., ქალის მოტაცება, მოლაღატე ცოლის ცხვირის მოჭრა, შურისძიების გამო მოკლა, ხალხის ჩვეულებას შეადგენს და ჩვეულება ხომ, როგორც მოგვსენებთ, «სჯულზედ უმტკიცესი არის». ჩვენდა სასიამოვნოდ, სასამართლო არ იფიწყებს ხალხის ჩვეულებას და რაც კი შეიძლება შეღავათს აძლევს დამნაშავეებს, მსუბუქ სასჯელს აკისრებს მათ. წრეულაც ასე გახლდათ. თუმცა ბევრი «საციმბირო» და «საკატორგო» საქმეები გაიჩნა, მაგრამ ერთის მეტს არ გადაუწყვიტეს ციმბირში გაგზავნა და იმასაც იმიტომ, რომ შემსუბუქება ვერას გზით ვერ მოხერხდებოდა. საბრალო მთიელს ბრალდებოდა ქალის მოტაცება და მისი ძალად გაუპატიურება. თუმცა ამ ნაირი შემთხვევა აქეთ იშვიათი არ არის და ბევრს თავ-მოსაწონებელ საქმედაც მიაჩნია, მაგრამ ძალად გაუპატიურებას კანონი სასტიკად უცქერის. მს საქმე პირველად განიხილეს და წარმოიდგინეთ,—რა რიგად შეშინდა მთა, როცა გაიგეს, რომ ამ საქმის გულისათვის დამნაშავეს ციმბირი გა-

დაც თოვლის ნამქერები იცის და სადაც ხეებს შეუძლიანთ მატარებლებს ეს დაბრკოლება ააცილონ.

== პეტერბურგში რამდენიმე კახური ღვიწობის სარდაფია, რომელიც არ იხდიან არც საქალაქო გარდასახადს, არც სახაზინოს. ამ გადაუხდელობის აზრი ის არის, რომ ძვე კასიის ღვიწობები გავრცელდნ რუსეთის დედა-ქალაქში. მხლა, თურმე, იმავე «ძაბის» სიტყვით, ბევრი მოვაჭრეები ცდილობენ ნების აღებას ამისთანა სარდაფების განხსნისათვის.

== საშინელი უბედურება მომხდარა სიბინძურის გამო. სოფელს მიხილოვკაში, პრდაგანის ახლო. ამ სოფელში მოსახლობენ რუსეთიდან გადმოსული გლეხ-კაცები. მრთს ამ სოფელსათაგანს ბრიგოლ შეფიუგავს სამის წლის წინად გაუმართავს ბოსლის ქვემოლ საკუქნაო სარდაფი საიდამაც სრულიად არ გამოჰქონდათ დამალი კომბოსტო, ქარხალი და სხვ. ამას ემატებოდა ზემოდამ, ბოსლიდამ ჩამოსული უწმინდურება და ამ ქვესენელში იმოდენა მანეე ვაზი მოგროვილიყო, რომ იქ ჩასვლა მეტის-მეტად საშიში გამხდარყო; წასუ-ს შემოდგომაზედ შელიუგავს შეენახა იქ ხის მასალა სამეურნეო იარაღისათვის და მთელ ზამთარს კარები მაგრად მიხურული დევდო. ივნისში შელიუგავი თავის შვილით და ოთხი ნაცნობი ყაზახით მოსულა საკუქნაოს კარებთან მასალის ამოსაღებად. ჯერ ჩასულიყო შეილი ამ საკუქნაოში—ახლოგზდა, 25 წლის კაცი, მაგრამ ცუდის ჰაერის გამო, უსულოდ დაცემულიყო. ზემოდ მყოფნი ვერ მიხვდარიყენენ, რა მოსვლოდა ყმაწვილ-კაცს და ძახილი დაეწყოთ; ჩაშვებულს ხმა რომ არ გამოეცა, ჩასულიყო ერთი ყაზახი, რომელსაც აგრეთვე თავ-ბრუ დახვეოდა, მაგრამ რადგან

უფრო ღონიერი იყო, ჩვენთანაურ დაჰკარგოდა, თუმცა მისი ამოღება ვეღარ მოეხერხებინა და ფართხალი შეექნა. მეორე ყაზახს მოენდომა შეტყობა ამ ამბის მიზეზისა და ისიც ჩაშვებულიყო, მაგრამ ზემოდ მყოფთ შეენიშნათ, რომ იმასაც გული მისდის და ამოეყვანათ. ნახევარ საათის უკან ეს ყაზახი მობრუნდა და უამბო, რომ რამწამს ჩავედი სარდაფში, მაშინვე თითქო რალაც დამაწვა გულზედ და მალჩობდაო; მასუკან რა მოხდა, აღარ მახსოვსო. მაშინვე მამასახლისის განკარგულებით სარდაფის კერი აეხადათ და ორი კაცის გვამი ამოეღოთ, რომელთაც ვერავითარმა ღონისძიებამ სიცოცხლე ვეღარ დაუბრუნა თურმე. («ქარსია»).

== თბილისის რეალურ სასწავლე-ბელში შესვლის მსურველთ უნდა არ-ზები აგვისტოს 26-მდე წარადგინონ. რომელ შეგირდებსაც ქალაქში მშობლები, ან ნათესავები არა ჰყავთ, უნდა სადგურები სასწავლებლის მთავრობის ჩვენებით დაიჭირონ. ხელმეორედ დასაჭერი ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 23-ს, ხოლო მისაღები ეგზამენები იქნება აგვისტოს 27-ს, 28-ს და 31-ს.

== ჩვენს გავითში იყო მოხსენებული, რომ წრომის ეკლესია, მართლში, საუკეთესო ნაშთია ძველის არხიტექტურისა, მაგრამ უპატრონოდ მიტოვებულიო. მხლა გავითი «ძაგავი» გვაცნობებს, რომ ადგილობრივს ბლოლოჩინს მოუწადნია ამ ეკლესიის განახლება და მოუხსენებია ექსარხო-სისათვის გაგზავნოს ერთ ერთი წევრი ამ ეკლესიის დასათვალისწინებლად და თავისი შეხედულება ამ ეკლესიაზედ წარუდგინოს მას, ვიდრე განახლებას შეუდგებოდენ.

თავის მეზობლებზე, სხვა ტომის მთიელებზედ. ხშირად შეხედებით მაგ., ქისტს რომელმაც ქართული იცის, აქა-იქ მოაბოვებიათ ისეთნიც, რომელთაც ჩვენებური წერა-კითხვა იციან და ამითი თავი მოაქეთ... ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქისტებს უფრო მჭიდრო და ახლო დამოკიდებულება აქეთ ჩვენს მთიელებთან, ვიდრე სხვებს და მათი საქიროება თხოულობს ისწავლონ ერთად-ერთი ადგილობრივი ენა, რომელსაც ბედმა და იღბალმა თავისი ანბანი მიანიჭა.

\*\*\*

მლქის სასამართლოს «სეზონმა» ბედნიერად გაიარა. სასისხლო საქმეების გადაწყვეტამ კარგი შთაბეჭდილება იქონია მთიელებზედ. უნდა ესთქვათ, რომ არც ერთი საქმე არ იზიდავს ისე ძლიერ მთიელის ყურადღებას, როგორც სისხლის სამართლის საქმე. აქაური ხალხის შეხედულება სასისხლო საქმეზედ ძირეულად განსხვავდება კანონის შეხედულებიდან და თუ კანონი სასტიკად უცქერის რომელსამე დანაშაულობას, ხალხი კიდევ იმავე დანაშაულობაზე სხვა ნაირად სჯის, მსუბუქს სასჯელს

დაუწყვიტეს... თქვენ ვერ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ—რა ნაირი თავ-ზარ დამცემი გავლენა აქვს ხალხზე, როცა კანონი და ჩვეულება ერთი ერთმანეთს ვერ უდგებიან!.. მაგრამ, როგორც ვსთქვით, წრევიდგელმა სასისხლო სამართლის განყოფილებამ ხალხის გული მოიგო.

პრა ნაკლები ყურადღება საზოგადოებისა მიიპყრა სამიჯნო განყოფილებამ. ჩვენს მაზრაშიაც, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, გამოიჯენა ყოველთვის «დლიურს ვარამს» შეადგენს და საზოგადოებას მეტად მსურს ამ საქმეს მალე მოელოს ბოლო და გათავდეს ის დაუსრულებელი დავი-დარაბა, რომელიც წარმოსდგება მამულების გაუმიჯნაობისგან. მაგრამ სად არის დასასრული!

\*\*\*

თიანეთის მაზრაში, მეტადრე დ. თიანეთის ზემოდ, მთაში საბატონო მამულები მეტად ცოტაა. აქ თითქმის მთელი მამულები სახელმწიფოს ეკუთვნის. თიანეთის ქვემოლ კი, მრწოს ვაკესკენ და იორის იქით, და სავლეთის მხარეს, ხაზინასთან ერთად მიწა-მამულს მფლობელობენ ძანეთის

სხვა-და სხვა თავადიშვილები. წრეულ ამ თავადიშვილებს ჰქონდათ დავა ხაზინასთან და ეს დავა მათ სასარგებლოდ გათავდა. მარალაშვილებმა და ჩოლაყაშვილებმა დიდი მამული მოიგეს. მაგრამ ეს არაფერი; საყურადღებო ის არის—როგორ ჰფიქრობს გლეხ-კაცობა ამ დავაზე, ვისი მომხრეა იგი, ვერძო პირებისა, თუ ხაზინისა. უნდა გავტყდეთ, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა ამ შემთხვევაში მტრულის თვლით უცქერის მებატონებს და უმეტეს ნაწილად ხაზინის მხარე უჭირავს. სახელმწიფო გლეხებს, არვიციოთ საიდან და რისთვის, წარმოუდგენიათ, რომ სახელმწიფო მამულები საკუთრებად მათ დარჩებათ და სცდილობენ კიდევ დავა ხაზინის სასარგებლოდ გათავდეს. გლეხ-კაცობას ამ გვარი შეხედულება მეტად უშლის საქმის სამართლიანად დაბოლოებას და ეს შეხედულება იმის საბაბიც არის, რომ გამოიჯენა ჩვენში ასე გრძელდება, კიანურდება. თუ ამას არ დაივიწყებთ და იმასაც მიიღებთ აზრში, რომ სიგელების უქონლობის გამო, თითქმის არც ერთი სამიჯნო საქმე მოწმების და უფრო სახელმწი-

### რუსეთი

ბამოჩენილი რუსის სატირიკოსი მ. მ. შჩერინი (სალტიკოვი) ამ ქამად მისბადენშია და, თურმე, ძალიან ავად არის.

მალე პეტერბურგში აპრობენ თავის მოყრას წარმომადგენლები ყველა რუსეთის რკინის გზების იმის განსახვად, თუ როგორ უნდა მოიყვანონ აღსრულებაში ახლად გამოცემული წესდება, სავალდებულო ყველა რკინის-გზებისათვის.

### უკრაინა

ნემეცებისა და ფრანკოვების შორის ატეხილმა დავი-დარბამ თანდათან ცხარე ხასიათი მიიღო. ძელნის გაზვთმა, რომელიც ბისმარკისაგან ჩაგონებულ ორგანად ითვლება, ჯერ გულ-დამწვარმა მიმართა საფრანგეთს, აყვედრა რომ ჩვენი ცდა ის იყო ფრანკოვებისათვის ხელი გაგვემართა და გზა დაგველოცნა კოლონიებისაკენა, მაგრამ რახან ჩვენი საკეთე არ დაინახეთ, ახლა სხვაუფ მოვიქცევითო:

«ლამანშის კანალს იქით, განაგრძობს ვაზეთი, სცხოვრობს ხალხი (ინგლისელები), რომელიც ცუდის თვალთ უცქერის საფრანგეთის ვაჭრობისა და მისი კოლონიების გაძლიერებას. მიღრე ამ ქვეყნის მოთავედ იღვა რუსებისა და ფრანკოვების გერმანიანზედ მიმსევი კაცი, ინგლისელებისა და ნემეცების შუა კავშირი შეუძლებელი იყო. მხლა-კი საქმე სხვაფორე არის.. ნემეცების პოლიტიკას შეუძლიან დიდხან ერთგზას ადგეს, მაგრამ მასაც მოსწყინ-

ფო გლენების უკითხვად არ თავდება, მაშინ წარმოიდგენთ მებატონეების ვაჭირებულს მდგომარეობას...

ბევრი იმასაც ამბობენ და ამტკიცებენ კიდევ, რომ დაშორებით სასარგებლოა გლენ-კაცობისთვის, რომ სადავო მამულები ხაზინას დარჩესო; ეს უკანასკნელი უფრო შეღავათს აძლევს გლენ-კაცობასო, უფრო ცოტა ხარჯს ართმევსო და სხ. ამისთანება.. ამ გვარი აზრის ვაჭ-ბატონები თავიანთ მოწინააღმდეგეთ «ფეოდალების» (ეს სიტყვა ხომ ყველას უსწორო-მასწოროდ პირზე აკერია!) მომხრეებს უწოდებენ. მაგრამ პირველად ესა, რომ სამართალში «პარტიულ» შეხედულებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, აქ კაცი უნდა სიმართლეს მისდევდეს და არა სხვა-და-სხვა მოსაზრებასა. მეორედ—უკუყარი ფაქტები აშკარად ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო მამულები, მეტადრე ტყე, ძვირად უჯდება გლენ-კაცობას. პრა ერთი და ორი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ ცხვრის ფარის ძოვებისათვის სახელმწიფო ტყის მცველი ერთსა-და-იმავე მცხვარეს ორმოცს და სამოცს თუმანს ახდევინებს! აი-

და უაზრო და თან საშიში მღელვარება საფრანგეთის ხალხისა, რომლის საფუძვლადაც გადახდის აზრი არის ჩადებული.

ავლანის საზღვრის გამო ვაზ. «Times»-ი ამბობს: ინგლისი რომ კიდევ დათანხმებულიყო ყოველ იმაზედ, რასაც რუსეთი თხოულობს, მაინც ავლანის საქმის გადაწყვეტა ერთი ბეწვითაც არ გადადილობდა: ჩვენს მოწინააღმდეგესა სურს დაეგავდებოდეს, რაც შეიძლება მეტად, და ამით საქმე თავისთვის სასარგებლოდ მოატრიალოს.

ინგლისში გამოსულა ერთი ბროშურა, რომლის ავტორი ურჩევს ინგლისელებს ინდოეთის დასაცვლად გარეშე ზღუდების მაგიერად შიგ ინდოეთშივე ამართან იმისთანა რამ, რომელსაც შეეძლოს ინდოეთის გულის-მოგება და მკვიდრი კავშირის ჩამოგდება ამ ორს ხალხს შორის; თორემ ესლა, თუმცა ინგლისელებმა დიდი სიკეთე მოუტანეს ინდოეთს, მრავალი რკინის-გზები და არხები გაიყვანეს, უნივერსიტეტები დააარსეს, ლიტერატურა გაუცხოველეს, მაინც ინგლისელი ისე უყურებს ინდოელს, როგორც მდაბალი ხარისხის კაცს და ამისთანა დამოკიდებულებას არ შეუძლიან ეს ორი ხალხი ერთმანეთს შეაყვაროს, თუ იგი ძირეულად არ შეიცვალაო.

ბაზეთს «République française»-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი იმ კავშირზედ, რომელიც ვითომ შეუკრავთ ინგლისსა და ჩინეთს ერთმანეთ შორის.

«პრავისთვის არ არის დამალულიო, ამბობს ეს ვაზეთი, რომ ინგლისის დიპლომატია ცდილობდა

ლეთ ახლა ტყის გაჩება—ვინ არ იცის, ახალის კანონების და ტაქსის ძალით, რა ძვირად უჯდება გლენ-კაცს რამდენიმე ხის მოჭრა!? მარტო ტყის მცველისაგან მოკრეფილი ჯარიმა რომ ავიღოთ, იმის მეათედს ნაწილსაც კი სიზმარშიაც ვერა ნახვენ მთლად ყველა მებატონეები და ამის შემდეგ მათ კიდევ ცარცვა-გლეჯას სწამებენ!..

\*\*\*

მაგრამ იქნება კიდევ მკითხველს თავი მოვაძულეთ ამდენის ლაპარაკით სასამართლო საქმეებზედ. რა უყოთო. ჩვენი, თიანელების, შინაური ცხოვრება ისე უშინაარსო და უფერულია, რომ ძვირად იპოვით მასში საზოგადოების საყურადღებო მასალას. ზიხარ თუ დადინარ, წერილმანი ჭორების მეტი არა გვსმის-რა. საითკენაც კი მიიხედავ და ვისთანაც კი მიხვალ, სულ ჭორი და ჭორი! თუ ახლგაზდა კაცი ხარ და ჯერ კიდევ გული «პატიოსნურად» გიცემს, დიდი დარაჯი უნდა იყო შენის თავისა, რომ ამ შხამიანი ობობას ქსელში არ გაება და სამუდამოდ არ დაიღუპო სულით და ხორციო. საბრალოა, მკით-

მსმალეთის მიმხრობას, თუ რუსეთთან ომს დაიწყობდა, მაგრამ აქამდის არაინ იცოდა, რომ რამწამს ჩინეთისა და საფრანგეთის შორის მშვიდობიანობა დამყარდა, ინგლისელმა სერ რობერტ გარტმა შეადგინა პროექტი სრულის კავშირისა ინგლისისა და ჩინეთის შორის. ატყდა თუ არა ავლანის საზღვრის შესახებ დავი-დარბა, ინგლისი მაშინათვე ცდილობდა მსმალეთსა და ჩინეთს კავშირით შეჰკვროდა. ამიტომ ინგლისის სურვილი ის იყო საფრანგეთი ჩინეთთან შეერიგებინა. სერ რობერტ გარტი შეუდგა მოლაპარაკებას და დაითანხმა კიდევ ჩინეთი მშვიდობის ჩამოგდებაზედ. ამიტომ ვერც შერის სამინისტროს დაცემამ და ვერც ფრანკოვების ჯარების გამოსვლამ ლანგსონიდან ვერ დააბრკოლეს მოლაპარაკების საქმე და უფროც დაახარეს იგი. რაკი უმთავრესი დამაბრკოლებელი გარემოება აღარ იყო, ინგლისმა და ჩინეთმა ერთმანეთთან იღუმალი პირობა შეჰკრეს, რომლის ძალითაც ჩინეთი თანხმდებოდა ოპიუმზე ბაჟის შემცირებას და ინგლისს აძლევდა ნებას პორტის ჰამილტონის დაქვრისას. სერ რობერტ გარტი დაინიშნა ინგლისის ელჩად ჩინეთის წინაშე და ლონდონში გაიგზავნა განსაკუთრებული ელჩი ჩინეთისა მარკიზ ძენგის მაგიერად. ლიუ-ფინგ-ფუოკს, «შაეი დროშების» წინამძღოლს, მიენიჭა სარდლობა თურქისტანის სამზღვარზედ მდგარის ჯარისა. ჩინეთის მეორე არმია უნდა მოგროვებულიყო ამურის მხარესთან და ჩინეთის ფლოტს ინგლისის ფლოტთან ერთად ემოქმედნა პლადიფს-ტოკთან და ცდილიყო ჯარების გადასხმას ნაპირზედ. შულის ხარჯს, რასაკვირველია, ინგლისი კისრულობდა. ამ გვარად ყველაფერი მზად იყო და ინგლისს რომ მოეხერხებინა მს-

ხველო, და ხშირად შესაცოდო ახალგაზდა, რომელიც მივარდნილს პროვინციაში «აყუდებულსავეთა» ცხოვრობს და რომელსაც ყოველ წამს სხვა-და-სხვა ქუნქლა-კოლოები ჰკბენენ და სისხლს სწოვენ... ლმერთო, რა მალე და მწარედ სტყუედება ახალგაზდა. ღიად, მკითხველო,

«Жизнь—не то что говорили Мои книги и мечты!»...

მაგრამ... ლამის მეც წერილ რამეებზე არ მოყვე ცხარე ვოდებას: რა საკადრისია, როცა თიანელებს ხვალ თუ ზეგ ახალი «ბედ-იღბალი» კარებს დაურაკუნებს მს ბედ-იღბალი ის ვახლავთ, რომ სამხედრო ბანაკის საქმეს ამ მოკლე ხანში უნდა შეუდგნენ (მკითხველს ეცოდინება, რომ აქ მსურთ ბანაკის გამართვა) და მაშინ ბევრსაც მოუხდება აქედგან გადასახლება. მეორე კიდევ—აქამომდე სახაზინო გლენებად «თეთი მწოდებელნი» თიანელები სამუდამოდ დაარწმუნეს, რომ იგინი სცდებოდენ და ეს შეცდომა თავხედობით მოსდიოდათ.. საქმე ის არის, რომ ერთმა ჩვენმა მებატონემ, ცნობილმა თავის ქველ-მოქმედებით და საზოგადო მოღვაწეო-

მალეთთანაც კავშირის შეკვრა, მაშინვე ომს გამოაცხადებდა. რომ ყველა ზემოხსენებული მართალია, ამას ამტკიცებს ლი-ხუნგ-ჩანგის სურვილი საჩქაროდ მშვიდობის ჩამოგდებისა საფრანგეთთან. ამას გარდა შანხაიდან და შიან-ძინიდან მოსული ღებეშები იტყობინებინ, რომ პეჩელის ვიცე-კოროლს უთქვამს, თუ რუსები ძალით შემოვლენ პორციაში და საჭირო იქნება, ჩემის ჯარით წინ დაუდგებიო.

სამზღვარ გარეთული ვაზეთები ცოტა ხნით მაინც დაუშოშმინებია იმ ამბავს, რომ რუსეთის უცხო საქმეთა მინისტრი შირსი ამ ქამად უცხოეთში იმყოფება თეთ მინისტრს ბერლინში გავლის დროს იმედი გამოუცხადებია მალე მშვიდობის ჩამოგდებისა. «რუსეთს, უთქვამს იმას, არა სურს ომი, მაგრამ მას არ შეუძლიან უარი სთქვას იმ მიწებზედ, რომელნიც ზულფივარის ხეობასთან მდებარებენ».

ინგლისისა და იტალიის შორის კავშირის დამყარების ამბავი თანდათან მტკიცდება. ამბობენ, მალე ამ ორი ქვეყნის პირველი მინისტრები სალისბიური და ღვარტისი ერთად შეიყრებიან და ენკენისთვისათვის პირობას შეჰკვრენ საერთო მოქმედებისასაო.

### ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააკეტოსი“ ავგისტოს 5-ს.

აშინა. რამდენიმე დღეს, რაც ოსმაღეთის სამხედრო გეგები გარს უდგანან კუნძულს სიძის, მგინა-აზიის ნაპირთან მდებარეს, კუნძულის რადაოსის ახლო; ხომალდებს სასაზადისა აქვთ, რომ ხალხის აღწერა უნდა

ბით, კნ. ბარბარე ბარათაშვილისამ, გამოაცხადა, რომ შიანეთის არე-მარე, მიდამო, მთელი მამულები ჩემი საკუთრებააო. ამანვე გამოკითხვა უკვე გათავდა და თორმეტმა მოწამემ ფიცის ქვეშ დაამტკიცეს ის, რასაც ამბობდა მებატონე. მომავალ წელს საქმესაც განიხილავენ. მომავალი წელიწადი ახალს ამბავს მოუტანს აქაურს მცხოვრებლებს, საიმედოს, ან უიმედოს. მს სულ ერთია ჩვენთვის, ჩემო მკითხველო, მაგრამ სულ ერთი კი არ არის თიანეთლებისათვის. აქაც, როგორც ყველა სადავო მამულების შესახებ, გლენ-კაცობის სიმპატია ხაზინისაკენ არის იმ მიწების გამო, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ სხვები კი სულ სხვას ამტკიცებენ...

თუ მოვახერხებთ როგორმე, იქნება ჩვენ უფრო ვრცლად და საფუძე-ლიანად მოველაპარაკოთ მკითხველებს ამ საგანზე.

მკელა ხანკალ-ჭამიაშვილი. დ. თინეთი. ავგისტოს 1.

